ჯიუღოეფენი

აჭარაზეობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№3 (74) ივლისი, აგვისტო, სექტემბერი 2015 წელი

წმ. მეფე კონსტანტინე დიდი და წმ. ელენე დედოფალი

სტუმრობა მიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში

ჩემი ადგილი

„აფხაზეთის განკურნების საიდუმლო საქართველოშია“

აფხაზეთი ჩემს ცხოვრებაში დაკავშირებულია, რასაკვირველია, ჯერ ომამდელ პერიოდთან, როდესაც ჯერ კიდევ სკოლის ასაკში, მშობლებთან და მეგობრებთან ერთად, ჩავდიოდით მართლაც გამორჩეულ კუთხეში ჩვენი ქვეყნისა.

მოგონებების მეორე ეტაპი უკვე დაკავშირებულია ტრაგიკულ დღეებთან.

მოხდა ისე, რომ ომის დაწყების პირველივე დღეებში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი გარდაიცვალა და მაშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდელმთავრების ჯგუფი გაგვაგზავნა, რომ იქ გვემსახურა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ჯგუფიდან მე დავრჩენილიყავი და გამეგრძელებინა ამ ეპარქიის მღვდელმთავრის მოვალეობის შესრულება. აი ამ ტრაგიკულ დღეებთან დაკავშირებულია როგორც მტკივნეული მოგონებები, რაც ადამიანების გაჭირვების ხილვას მოჰყვება, ასევე მოგონებები ძალიან ამაღლებული, მოგონებები იმისა, თუ როგორ ამჟღავნებდნენ ადამიანები თავიანთ ღირსებას, იქნებოდნენ ეს მეომრები, თუ იქნებოდა ეს ჩვეულებრივი მოსახლეობა, მშვიდობიანი მოსახლეობა და ნამდვილად ძალიან ბევრი მაგალითი იყო გმირობის. სოფელი ტამიში იყო ისეთ ვითარებაში, რომ პერიოდულად გადადიოდა ხელიდან ხელში. ჩვენ მოვახერხეთ იქ ჩასვლა იმ პერიოდში, როცა მეომრები იყვნენ ამ სოფელში. იქ ჩასვლა ძალიან ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, რაღაც საგანგებო დაცვით შევედით და უნდა გაგვევლო ადგილები, რომლებიც არ იყო ჩვენ მიერ კონტროლირებადი. რომ მივაღწიეთ, იქ ერთსართულიანი რაღაც პატარა შენობა იყო და ამ ბანზე ისხდნენ ახალგაზრდა მეომრები, დაახლოებით თვრამეტი, მაქსიმუმ ცხრამეტი წლის ახალგაზრდები, რომ დამინახეს, გადმოხტნენ ამ ბანიდან და გამოიქცნენ ჩვენკენ. გაგვამხნევეს... ჩვენ მივედით გასამხნევებლად და მეომრებმა აქეთ გაგვამხნევეს ჩვენ.

უცნაურია, მაგრამ ამ სიტყვებს რომ ვამბობ, მექანიკურად ცრემლი მომდის. იცით, რა მითხრა ამ ახალგაზრდამ, რომელიც არაჩვეულებრივი გარეგნობის იყო, ღია ფერის თმა ჰქონდა და ცოტა მოსული ახალგაზრდა იყო. მან მითხრა: „მამაო, საქართველო ცოცხალია“. და ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი. და მე უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ ეს არის ჩემთვის სიმბოლო იმისა, რომ საქართველო მართლა ცოცხალია მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან სნეულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან რთულ ვითარებაშია და ბევრი რამ დაკარგა მან, რაც ჰქონდა წარსულში და ამის აღდგენა, რასაკვირველია, ადვილი არ არის. ეს არ იყო ომი ქართველთა და აფხაზთა შორის, ეს იყო ომი ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის წინააღმდეგ, რომელსაც მტერი ძალიან კარგად ახერხებდა. და მინდა ვთქვა, რომ აქ ჩვენც ვართ დამნაშავე, იმდენად, რამდენადაც მტერი ვერასოდეს შეძლებს ძმებს შორის შუღლის ჩამოგდებას, თუ ძმებშიც არ არის რაღაცა ზნეობრივი ასეთი დასუსტება. გადმოსვლის დროს, მერე ჭუბერში, ჩვენ მაქსიმალურად დიდხანს დავრჩით, სანამ თითქმის მთელი მოსახლეობა არ იქნა გაყვანილი, ბოლომდე ვეცადეთ, რომ იქ ვყოფილიყავით და იქ გაგვემხნევებინა მოსახლეობა. გარდა იმისა, რომ ყოველი ადამიანისთვის, პირადად ჩემთვის და ჩემი ჯგუფის წევრებისათვის იყო მძიმე, არ ვიცოდით, გადავიდოდით, არ გადავიდოდით, რამდენად გავუძლებდით ამ დატვირთვას და ეს მღელვარება ახლდა. ჩვენთვის მაინც, სამღვდელოებისათვის, კიდევ ამას ემეტებოდა ის, რომ პასუხისმგებელი ვიყავით იმაზე, რომ რაღაც თანაგრძნობა გამოგვეხატა სხვა ადამიანებისათვის, გაგვემხნევებინა ისინი და ამდენად ეს პასუხისმგებლობის სიმძიმე დიდი იყო. ჩვენ ვცდილობდით ამის გაკეთებას და მეტნაკლებად ვახერხებდით ამას.

არის აფხაზური ოჯახები, რომლებიც, რომ ჩამოვიდნენ და თქვან: „ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენ აგვიკრძალონ ქართველებთან მეგობრობა, ჩვენ ნათესავები ვართო, მეგობრები ვართო, ვერ შევეგუებითო, თუ არ მოგვცენ ამის უფლება“. ჩამოვიდნენ... ასე რომ ეს არის დროებითი, აქ ცხოვრობენ აფხაზები, არაჩვეულებრივი პიროვნებები, რომლებსაც უყვართ ქართველები და გრძელდება ეს ურთიერთობა და მათაც, რასაკვირველია, მოღალატეებს ეძახიან, მაგრამ ისინი ნამდვილი აფხაზები არიან და ისინი აფხაზების ღირსებას იცავენ.

აფხაზეთი, რომელიც მშვენიერია ყოველმხრივ - ფიზიკურადაც, კულტურულადაც, რელიგიურადაც, სულიერად, ძალიან დიდი ტკივილია ჩვენი, მე ვიტყოდი, რომ ეს არის ჭრილობა. ორი რამ უნდა ვაკეთოთ: ერთი, რომ ჩვენ ჩვენი სულიერი, ასე ვთქვათ, სახე უნდა აღვიდგინოთ, ზნეობა უნდა აღვადგინოთ საქართველოში და პარალელურად უნდა ვიზრუნოთ აფხაზებთან ისევ საერთო ენის გამონახვაზე, რომ მათში გაჩნდეს ნდობა ჩვენთან ურთიერთობისა.

აფხაზეთის განკურნების საიდუმლო საქართველოშია, ეს არ არის სხვაგან. ვერავითარი ძალა ვერ წაგვართმევს აფხაზეთს. ჩვენ თვითონ, ქართველი ერი, გავდივართ აი ამ სულიერი აღდგომის პროცესს, რომელიც ძალიან წინააღმდეგობრივია, ხან ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს ღვთისაკენ, ხან ისევ უკან ვბრუნდებით. და როდესაც ქართველი ერი თვითონ შიგნით გამთლიანდება, მაშინ გამთლიანდება ტერიტორიებითაც.

ჭიათურისა და საჩხერის
მიტროპოლიტი **დანიელი (დათუაშვილი),**
გადაცემა „აფხაზეთი“, 2015 წლის 15 ივნისი,
აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი

„მთვარის მოტაცება“ –

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა მემკვიდრეობითობა

2015 წლის 9 ივნისს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით თემატური საღამო-კონცერტი შედგა – „მთვარის მოტაცება“ – ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა მემკვიდრეობითობა“, რომლითაც ოთარ თაქთაქიშვილის დაბადების 90 წლისთავი აღინიშნა.

ალბათ არავის გაუჩნდება კითხვა – რატომ ოპერა „მთვარის მოტაცება“!!! რადგან ძნელად მოიპოვება ნაწარმოები, რომელიც ასე სისხლსავსედ, ასე ბუნებრივად, ყოველგვარი „აგიტელფერის“ გარეშე აჩვენებდეს აფხაზეთის კუთხეს ერთიან საქართველოში. დღეს ეს თემა პოლიტიზებულია ჩვენში, აღსავსეა ტრაგიკული განცდით, უზარმაზარი ტკივილით. გამსახურდიას რომანი კი იმ დრამატულ კოლიზიებს აღწერს, რომელსაც განიცდიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში მთლიანად საქართველო აფხაზეთთან ერთად. ამ განცდითვე შეიქმნა თაქთაქიშვილის ოპერა. რომანის კვალად, ეს ოპერაც საერთო ტკივილის ეპოპეაა, „მონუმენტური ტილო და ლირიკულ-ტრაგიკული აღსარებაა, რომლის მუსიკაში ჩადებულია ოთარის ფიქრი და გული, მისი სული და მორალური კრედო... გაჟღენთილი მეოცე საუკუნის ტრაგიკული ძვრების ფილოსოფიური გაგაზრებით, ადამიანური სიყვარულითა და მტრობით, წარსულისა და მომავლის რომანტიკით..“ (გ. ჭირაქაძე)

დღეს, როდესაც ქართული მუსიკა და განსაკუთრებით ქართული ოპერა, მრავალ მიზეზთა გამო, ბედის ანაბარადაა მიტოვებული, აქტუალობას იძენს მასთან დაკავშირებული ყოველი დიდი თუ მცირე პროექტი. კიდევ უფრო აქტუალური ხდება ეს თემა, როდესაც პროექტში აფხაზეთი ფიგურირებს. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს საკითხები ბევრს სიღრმისეულად აღელვებდეს ჩვენში. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი სისტემატურად ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც აფხაზეთთან ჩვენს ერთობას უსვამს ხაზს, საშუალებას აძლევს აფხაზეთელ დევნილებს შეხვდნენ როგორც ერთმანეთს, ისე ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებას, არ დაივიწყონ თავიანთი ძირები და იმავდროულად, ბუნებრივად იგრძნონ თავი სამშობლოში. მაგრამ არასოდეს მინახავს ამ შეხვედრებზე ის ჩვენი თანამოქალაქეები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მუდმივად აპელირებენ აფხაზეთის პრობლემებზე. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზეთი ზოგიერთისათვის უფრო პოლიტიკური სპეკულაციის თემაა, თორემ ერთხელ მაინც მიიღებდნენ მონაწილეობას მათ თავყრილობებში, შეხვდებოდნენ დევნილებს და რეალურად უჩვენებდნენ თანადგომას. წარმომიდგენია, რა თავპირისმტვრევა იქნებოდა მოსაწვევებზე, ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი დღეს კულტურის მინისტრი რომ ყოფილიყო. მაგრამ იმ საღამოს დარბაზი ძირითადად აფხაზეთიდან დევნილებით იყო სავსე (როგორღაც მძიმე გამოთქმა თუ სიტყვაა ეს „დევნილები“, მაგრამ სხვა ვერაფერი მოვიფიქრე!).

1989 წლის თებერვლის უღიმღამო დღეს 64 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი. ყველა გრძნობდა, რომ ეს სერიოზული დანაკარგი იქნებოდა არამარტო ქართული მუსიკის, არამედ, ზოგადად, ქართული კულტურისათვის. ამ განცდის საფუძველს ბადებდა მისი პიროვნული გამორჩეულობა და ყოველმხრივი უნივერსალური განათლება, რაც არცთუ ხშირი იყო (და, სამწუხაროდ, ახლაც ასეა) ნომენკლატურულ წრეებში. ოთარ თაქთაქიშვილი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სულ ახალგაზრდა რექტორი, მოულოდნელად საქართველოს კულტურის მინისტრად დაინიშნა და 20 წლის მანძილზე მოღვაწეობდა ამ რანგში. იმ პერიოდში ყველაფერი როდი მიმდინარეობდა მშვიდად. წამოვიდა რა სსრკ მთავრობიდან ერთგვარი დათბობის ტალღა, ლეგალურად ამოქმედდნენ დისიდენტები, ხმამაღლა დაიწყო საბჭოთა ტერორისა და დიქტატურის „ცოდვების მოკითხვა“, რამაც ბორკილები ახსნა ახალგაზრდა შემოქმედთ, მოაზროვნე ნაწილს, გაჩნდა შემოქმედებითი კავშირები დასავლეთის ცივილურ სამყაროსთან. მაგრამ ეს ტენდენცია მალევე დაიბლოკა და აბობოქრდა რეპრესიების ახალი ტალღა. მეტ-ნაკლებად განსხვავებულად წარიმართა ეს პროცესი საქართველოში. აქ შედარებით შერბილებული აღმოჩნდა ახალი რეპრესიების წნეხი და „შემოქმედებითი თავისუფლებაც“ უფრო ხანგრძლივად შემორჩა. ამას ხშირად აღნიშნავდნენ საბჭოეთის დედაქალაქიდან ჩამოსული, „მიწისქვეშეთში“ გაქცეული ავანგარდის წარმომადგებლები, მათ შორის მერაბ მამარდაშვილიც, რომლებიც თავისებურ „საბჭოურ ოაზისად“ ნათლავდნენ საქართველოს. მახსოვს, დღეს მსოფლიოში აღიარებული თეატრალური მხატვრის, გიორგი ალექსი-მესხიშვილის პირველი საავტორო გამოფენის შემდეგ, კრიტიკოსმა-სცენოგრაფმა ელენა რაკიტინამ მითხრა – რა ბედნიერებაა აქ, მოსკოვში დღეს ასეთი გამოფენა საჯაროდ, მთავრობის ხელდასმით, დღის სინათლეს ვერ იხილავდაო. წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ იქ ისეთი დადგმებიც, როგორიც რობერტ სტურუას „ყვარყვარე“ და „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ იყო. შედარებით-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ არც აქ იყო ყველაფერი ია-ვარდით მოფენილი, ბევრი შესანიშნავი ხელოვანი „სცენის მიღმა“ აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი მართლაც შედარებითია. ია-ვარდით რომ არ იყო მოფენილი, ამაზე ოთარ თაქთაქიშვილის დამოკიდებულებაც მეტყველებს მეოცე საუკუნის ქართველ სამოციანელთა აზროვნების მიმართ. ბატონი ოთარისათვის მიუღებელი იყო ამ ახალი ტალღის ესთეტიკური არსი, რაც საკმაოდ სერიოზულ დაპირისპირებაში გამოიხატა. მაგრამ ეს დაპირისპირება მაინც პრინციპულად განსხვავებული იყო რუსულ და ქართულ თაობათა შორის კონფლიქტის გააზრებისას. ჩემი აზრით, რუსეთის ნომენკლატურის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ იგორ ილინსკის ფრაზა ფილმიდან „საკარნავალო ღამე“, როცა ის „ამოწმებს“ საკარნავალო კონცერტის რეპერტუარს და ვოკალური კვარტეტის შესრულების შემდეგ უაპელაციოდ აცხადებს: „რა არის ეს ოთხი კაცი. მოიყვანეთ ბევრი ხალხი და იქნება მასიური კვარტეტი“. ოთარ თაქთაქიშვილის შემთხვევაში კი ეს სიმბოლო არანაირად არ გამოდგება. მის კონფლიქტს სამოციანელებთან არ განაპირობებდა არც უვიცობა და არც პოლიტიკურ-იდეოლოგიური დოქტრინა. თაქთაქიშვილი საოცრად ღრმად იცნობდა მსოფლიო კულტურას, როგორც უძველესს, ისე უახლეს, თავისი უნიკალური სმენითი მეხსიერების წყალობით ზეპირადაც იცოდა არაერთი ულტრა-ავანგარდისტი კომპოზიტორის პარტიტურაც კი (ამის დემონსტრირების მოწმე თავადაც ვყოფილვარ), მაგრამ ვერაფრით ითავისებდა ამ ესთეტიკას, სრული გაუცხოება ჰქონდა ამ კულტურულ ფენომენთან. ერთ-ერთ ინტერვიუში, ევგენი მაჭავარიანის შეკითხვაზე დოდეკაფონიასთან მიმართებაში, ბატონი ოთარი პასუხობს: –„შემოქმედება, გააზრებული თავიდან ბოლომდე სერიულ სისტემაში, ჩემთვის უცხოა... მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის, ეროვნული კომპოზიტორებისათვის, სერიულ სისტემას უფრო ზიანი მოაქვს, ვიდრე სიკეთე...“ დიახ, ეს მისი კრედო იყო, რომელიც არ შერყეულა სიცოცხლის ბოლომდე. ვფიქრობ, ეს იყო სამოციანელ ხელოვანებთან მისი დაპირისპირების მთავარი მიზეზი... ამიტომაც, როგორც ინტელექტუალი, იგი აღიარებდა მათ ნიჭიერებას (ესეც მსმენია პირადად მისგან), მაგრამ ესთეტიკურ დონეზე ვერ იღებდა მათ შემოქმედებით მიგნებებს. ჩემი აზრით, ეს არა იდეოლოგიური, არამედ „ტრადიციონალისტებისა“ და „მოდერნისტების“ ჩვეული შერკინება იყო. ამ მხრივ, მგონია, არ ვართ გამონაკლისნი. მსოფლიოს უდიდეს ხელოვანთა შორის ამგვარი ესთეტიკური შეუთავსებლობით გამოწვეულ დაპირისპირებას არაერთს იცნობს ხელოვნების ისტორია.

ყოველივე ამის უტყუარი დასაბუთებაა მისი შემოქმედებაც – იგი აღიარებდა კლოდ დებიუსის და რიხარდ შტრაუსს, ხედავდა „პელეასისა და მელისანდას“ თუ „სალომეს“ ღირსებებს, გონებით

სწვდებოდა შონბერგისა თუ ბერგის კონცეფციას, მაგრამ ეს არ იყო მისი სულიერი საზრდო. მისთვის უფრო ახლოს იყო გუნოს ლირიკული ოპერა, ვერდისა და ვერისტული საოპერო ტრადიციები, ზაქარია ფალიაშვილი, ქართული ხალხური პოლიფონია, მღერადი ლირიკული მელოსი, გამჭვირვალე და კონსონანსური ჰარმონიული ქარგა. ამ ატმოსფეროში გრძნობდა იგი შემოქმედებით სწრაფვასა და თავისუფლებას, აქ ყალიბდებოდა მისი ინდივიდუალური მუსიკალური ენა და გამოხატვის საშუალებები. მას შემოქმედებითად არ აღელვებდა ის ფაქტი, რომ არ ეწერებოდა თავის თანადროულ ავანგარდულ კონცეპტუალურ მუსიკაში, რადგან მიაჩნდა, რომ ჯობს იყოს თავისთავადი ინდივიდუალური ტრადიციონალისტი, ვიდრე მიმბაძველი ავანგარდისტი.

ოპერის ჟანრთან თაქთაქიშვილი შედარებით გვიან მივიდა. დასაწყიში გატაცებული იყო ინსტრუმენტული მუსიკით – სიმფონიები, საფორტეპიანო კონცერტები, რომლებმაც დიდი აღიარება მოუპოვეს. ოპერასთან კი ქართულმა ლიტერატურამ მიიყვანა. პირველი ამ გზაზე იყო „მინდია“, ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ საფუძველზე შექმნილი ოპერა, რომელიც კრიტიკამ ქართული ოპერის აღორძინებად მიიჩნია. მას მოჰყვა „ჯილდო“, „ორი განაჩენი“, და „მუსუსი“ მიხეილ ჯავახიშვილის მიხედვით, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და რეზო გაბრიაძის „პირველი სიყვარული“, კანტატები, ორატორიები, ვოკალური ციკლები ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, მორის ფოცხიშვილის ლექსებზე. მისი ინტერესების ორბიტაში მოექცა გალაკტიონის პოეზია. ამ ნაწარმოებების მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ საფუძვლად ქართული ხალხური მუსიკალური აზროვნება იქცა, რასაც ხელი შეუწყო „გურული“ და „მეგრული“ სიმღერების საგუნდო ციკლებზე მუშაობამ. აქედან ნათელი ხდება, რომ მის შემოქმედებაში ლიტერატურული პანორამა ძალზე ფართოა და, შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველოს ინტონაციურ შრეებს მოიცავს, რომელშიც კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მეშვეობით სისხლსავსედ შეიჭრა აფხაზეთის თემა. ამ ოპერაში გამთლიანდა მისი შემოქმედების ყველა მახასიათებელი, ორგანულად შეიკრა ხალხური მელოსი, ფაქიზი მელოდიური ლირიკა და ვნებააშლილი დრამატიზმი. როგორც კომპოზიტორი აღნიშნავს მუსიკისმცდნე გულბათ ტორაძესთან დიალოგისას, „ოპერა გაყოფილია ორ სტილისტურ შრედ. ერთი მათგანია ხალხური, ... რომელიც დაკავშირებულია კაც ზვამბაიასა და არზაყანის სახეებთან, ყველა მასობრივ სცენასთან... მუსიკალური ენა, რომელიც დაკავშირებულია თამარისა და თარაშის სახეებთან, ეს ჩემი საკომპოზიტორო ენაა“...

ეს „ხალხური შრე“ ოპერაში ნატურალურადაც არის გამოყენებული. მასში ჩართულია „ხალხურ მთქმელთა“ ანსამბლი, რამაც ოპერა ფოლკლორული და კლასიკური აზროვნების საოცრად ჰარმონიულ ნაზავად აქცია.

თაქთაქიშვილი გამომსახველი მელოდიისა და ლირიკული სახეების ოსტატად უკვე მანამდეც იყო აღიარებული, მაგრამ, ვფიქრობ, მისი მუსიკის უკიდურესად მძაფრი დრამატული მუხტი აქ პირველად გამოვლინდა. როგორც თვით რომანში, ისე ოპერაში, განსაკუთრებით გამოვყოფ ხოლმე ჩემთვის არზაყანისა და კაც ზვამბაიას სცენა-დუეტს, ვნებიანს, ხორციელს, დრამატულად ემოციურსა და ტრაგიკულად ამაღლებულს. მამა-შვილის სცენა, ცხოველთა თავების წაცლით, ისე ექსპრესიულად აქვს აღწერილი გამსახურდიას, რომ ძნელად წარმოსადგენი იყო მისი გარდასახვა ოპერაში. მაგრამ თაქთაქიშვილმა შესძლო მუსიკალურად განეხორციელებინა იგი მთელი სიცხადით, სულისშემძვრელი სისასტიკით, რომელიც ერთდროულად შიშის ზარსაც გცემს და თანაგრძნობასაც იწვევს. ეს გაორებული განწყობა მუსორგსკის ბორისის დრამას გახსენებს, თავისი შინაგანი განწირულებით. ამ სცენის სიღრმისეული მუსიკალური გააზრება მკაფიოდ გამოიკვეთა ოპერის პრემიერისას ბორის პოკროვსკის დადგმით მოსკოვის დიდ თეატრში 1977 წელს – არზაყანი - ზურაბ სოტკილავა, კაც ზვამბაია – ევგენი ნესტერენკო. ერთი წლის შემდეგ, თბილისურმა პრემიერამ ცხადყო, რომ ეს განცდა არ იყო მხოლოდ ამ ორი ბრწყინვალე მომღერლის დამსახურება. ეს მუსიკაში ჩადებული ენერგეტიკით იყო გამოწვეული, რადგანაც გიზო ჟორდანიას საინტერესო დადგმითაც ეს სცენა კვლავ გამორჩეული აღმოჩნდა (ჩემდა სამწუხაროდ, ზემოხსენებულმა კონცერტმა ამ სცენის გარეშე ჩაიარა).

კონცერტი-შეხვედრის პროგრამა ორიგინალურად ჩაიფიქრეს მისმა ორგანიზატორებმა, მუსიკისმცოდნეებმა სვეტლანა ქეცბამ, ლია სეხნიაშვილმა. თამარ წულუკიძეს მიჰყავდა კონცერტი... ამ მუსიკალური ზეიმის ფონზე მაყურებელი ოვაციებით ეგებებოდა ფრაგმენტებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან ელდინო საღარაძისა და დიმიტრი ჯაიანის შესრულებით, რომელშიც ტრაგიკულ ნოტად შემოიჭრა შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატა“.

საღამოს მთავარი სტუმრები კი თამარისა და არზაყანის პარტიების პირველი შემსრულებლები, მოსკოვური პრემიერის მონაწილენი, მსოფლიო ვოკალური ელიტის წარმომდგენლები, დიდი თეატრის სოლისტები მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა უნდა ყოფილიყვნენ. ზურაბ სოტკილავას მონაწილეობას მისი „სოხუმელობა“ კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდიდა. მაგრამ ბატონი ზურაბის ავადმყოფობის გამო ეს ხიბლი აშკარად დააკლდა საღამოს.

მაყვალა ქასრაშვილი – პირველი თამარი, თავისი ულამაზესი ხმითა და უდიდესი ოსტატობით, რომლის ხელოვნების უდიდესი მონაპოვარია გმირის შინაგან განცდათა სიღრმისა და ფერადოვნების გამოვლენა ვოკალით. მისი არტისტიზმი მთლიანად ვოკალშია ჩაბუდებული და არა სცენურ ეფექტურობაში და ეს უძლიერეს ზემოქმედებას ახდენს. იმ საღამოს კი მაყვალას გამოჩენა ფინალურ ანსამბლში, უფრო სიმბოლურ სახეს ატარებდა და მშვენიერი დასასრული აღმოჩნდა კონცერტისა, სადაც ცნობილი ქართველი მომღერლები, თაქთაქიშვილის თითქმის ყველა ნაწარმოებისა და ამ ოპერის თბილისური დადგმის მონაწილეები, დღეს ასევე წარმატებული პედაგოგები თემურ გუგუშვილი და ელდარ გეწაძე ახალგაზრდა თაობასთან ერთად – ალუდა თოდუა, ირინა შერაზადიშვილი, ირინა ალექსიძე და ლევან მაკარიძე – იდგნენ სცენაზე და ანსამბლ „რუსთავთან“, საქართველოს სახელმწიფო კაპელასა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით, გვამცნობდნენ, რომ თაქთაქიშვილის მუსიკას ღირებულება არ დაუკარგავს.

მანანა კორძაია

ჟურნალი „მუსიკა“ #3, 2015 წ.

ჩემი აფხაზეთი

საბავშვო მუსიკის კვირეული - თითქოს ჩვეულებრივი ტრადიციული კონცერტების ციკლი, ამ დროს დიდი ესთეტიკურ-აღმზრდელობით დატვირთვის მქონე მოვლენაა. 44 წლის წინ დაიბადა მისი განხორციელების იდეა, რაც თავიდან ბოლომდე ეკუთვნოდა ცნობილ კომპოზიტორსა და მოღვაწეს, ნორჩი თაობის განსაკუთრებულ მოამაგეს, ქალბატონ მერი დავითაშვილს. ამგვარად, ათეული წლებია კვირეული, შეიძლება ითქვას, ქართველი მუსიკოსების თაობებს ზრდის, ბოლო წლებია იგი საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ძალებით (თავმჯდომარე

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-5 გვ.)

კახა ცაბაძე) ეწყობა (საორგანიზაციო მხარე, ძირითადად, აკისრია მუსიკოსმცოდნე ნინო მესხს). ორი წლის წინ კვირეულის ორგანიზატორებმა სიურპრიზი მოუწყვეს ქალბატონ მერის - კვირეულს მისი სახელი მიანიჭეს, ამით სიცოცხლეშივე გამოხატეს საყოველთაო მადლიერება მისი, ამ დიდი, ეროვნული მნიშვნელობის წამოწყების მიმართ.

წელს მერი დავითაშვილის სახელობის ბავშვთა მუსიკის კვირეული ჩვენს ქვეყანაში დაძაბულ სიტუაციას დაემთხვა, სახელდობრ, დედაქალაქში სტიქიის შედეგად მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს. ერთი კონცერტი საერთოდ მოიხსნა, ვინაიდან ის დღე გლოვის დღედ გამოცხადდა, დანარჩენი ღონისძიებები კი ჩატარდა (რაც ცხადია, აუცილებელი იყო თ. წ.), მაგრამ საერთო ფონი, ცხადია, არც თუ საზეიმო ვითარებაში.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი წლების განმავლობაშია ჩართული ბავშვთა მუსიკალური კვირეულის ცხოვრებაში. იგი ყოველ წელს კვირეულის ფარგლებში აწყობს კონცერტს ქვეყნის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების შვილების მონაწილეობით, უკვე ტრადიციული სათაურით ,,ჩემი აფხაზეთი“.

წელს ,,ჩემი აფხაზეთის“ მონაწილენი დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის აღსაზრდელები იყვნენ. სასწავლებელისა, რომლის არსებობა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება და ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური დონით. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებელმა გაუძლო წარმოუდგენელ განსაცდელს, ომის ქარტეხილებს და მოიტანა თავი აქამდე. დღეს ის არსებობს თბილისში, როგორც აფხაზეთის კულტურის ერთ-ერთი კერა (ამაში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა მუსიკისმცოდნემ და საზოგადო მოღვაწემ, ერთ დროს ამ სასწავლებლის დირექტორმა, ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს კულტურის მინისტრმა, ამჯერად აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა - ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ). სასწავლებლის, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს ბატონი დავით ოკუჯავა, ყოველი წარდგენა მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს.

ბავშვთა მუსიკის კვირეულში სოხუმის სასწავლებელმა გასულ წელსაც მიიღო მონაწილეობა. მაშინ, ცენტრის დაკვეთით მომზადდა და შესრულდა ალექსი მაჭავარიანის საგუნდო ციკლის ,,დედა ენის“ ფრაგმენტები (წელს დაგეგმილი იყო ამ ნაწარმოების სრული ვერსიის აჟღერება, მაგრამ

ისევ ქვეყნის საერთო მდგომარეობამ შეუშალა ხელი ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას).

წლევანდელი კონცერტი, როგორც მოგახსენეთ, საქართველოსთვის მღელვარე დღეებს დაემთხვა (17 ივნისი), მაგრამ ის მაინც შედგა, მიმაჩნია, რომ ასეთ დროს სწორედ მუსიკას ეკისრება სულიერი ხსნისა და ადამიანთა შემაკავშირებელი ფუნქცია. ამ შემთხვევაში კიდევ მეტი გამართლება მიეცა კონცერტის შინაარსსაც - აკადემიურ-კლასიკური პროგრამის გვერდით ქართველი კომპოზიტორების სიმღერების აჟღერებას.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სარკეებიან დარბაზში აფხაზეთის მიწის მკვიდრთა შთამომავლები დიდი სიყვარულით გადმოსცემდნენ ქართველ კომპოზიტორთა სასიმღერო ნიმუშებს: ნოდარ გაბუნიას, მერი დავითაშვილის, მამია ხატელიშვილის, ნუნუ გაბუნიას, ინოლა გურგულიას, დავით კევლიშვილის, დავით ლალიაშვილის, მანანა მერაბიშვილის სიმღერებს. ქართული სიმღერისადმი სიყვარულის გაღვივება, უპირველესად, მათი პედაგოგების - თამარ იაშვილის, თემურ თამლიანის, მანანა პაპიაშვილის, დავით ოკუჯავას, კონცერტმაისტერების - მანანა ბერულავას, მარიამ შარაშენიძის დამსახურებაა.

კონცერტის მეორე, აკადემიური ნაწილი სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების კომპოზიტორთა ნაწარმოებებით იყო წარმოდგენილი. საფორტეპიანო კლასის გარდა, მონაწილეობდა სავიოლინო განყოფილების მოსწავლეც. აჟღერდა ვივალდის, ბახის, შოპენის, სელივანოვის საფორტეპიანო, რიდინგის სავიოლინო თხზულებანი. ასრულებდნენ პედაგოგების: ლამარა ცხაკაიას, ალდონა კალანდიას, ვიოლეტა აკიშბაიას, მაია ცაავას მოსწავლეები.

ღონისძიებას კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი დაესწრო, რაც მონაწილეთათვის და მათი პადაგოგებისთვის დიდი სტიმული გახლდათ.

კონცერტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა მოსწავლეთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რაშიც მას ყოველმხრივ ხელს უწყობს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი.

თამარ წულუკიძე

სტუმრობა ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში

2015 წლის 4 აგვისტოს თბილისში მშენებარე ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მღვდელმა დავით კონჯარიამ მასპინძლობა გაუწია აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლებსა და საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ ხელმძღვანელ დავით კინწურაშვილს. მამა დავითმა აღნიშნა, რომ ტაძრის მშენებლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დევნილებიც აქტიურად არიან ჩართულნი. მათთანაა დაკავშირებული მისი მშენებლობის ისტორიაც. 2008 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევით სასულიერო პირები ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის ასლს დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში დააბრძანებდნენ. 5 წლის თავზე გაჩნდა იდეა, ამ ხატის სახელობის ტაძარი აშენებულიყო, რომელიც განსაკუთრებით აფხაზეთელ ხიზანთა მფარველი იქნებოდა.

ტაძარში მისულმა სტუმრებმა აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ მიერ მომზადებული „ტკბილი ქვეყნის“, „ბარამბოს“, „ზედაზენისა“ და „არტ ჯენის“ ტკბილეული მიიტანეს.

„ჩემთვის, როგორც ყველა დევნილისათვის, საქართველო აფხაზეთიდან იწყება, - ბრძანა მამა დავითმა. - ეს თავსმოხვეული ომი ჩვენი ხალხის სიყვარულის წინააღმდეგ იყო გამიზნული. ჩვენ, ყოველი ლოცვის შემდეგ, აფხაზების, ოსებისა და ქართველების შერიგებისათვის საგანგებო ლოცვას აღვავლენთ“. მან სტუმრებს დევნილ ბავშვებზე მზრუნველობისათვის მადლობა გადაუხადა.

აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზას“ დევნილი საზოგადოების, მოსწავლე-ახალგაზრდობის მხარდასაჭერად არაერთი საქველმოქმედო აქცია აქვს ჩატარებული. ფონდის ხელმძღვანელ დავით კინწურაშვილის თქმით, სხვადასხვაგვარი დახმარების გაწევას მომავალშიც აპირებენ, ამ კუთხით ფონდი „მომავლის გზა“ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან ურთიერთობის გაღრმავებასა და უფრო აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს.

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა აფხაზეთის საშუალო სკოლებში მოძღვართა სტუმრობისა და აღსაზრდელთა დალოცვის ტრადიცია დაამკვიდრა. 14 სექტემბერს ჯუმბერ ბეთაშვილის სახელობის #2 საშუალო სკოლაში თბილისის მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა გიორგიმ (გურჩიანი) ჩაატარა საჯანმრთელო პარაკლისი. პარაკლისს დაესწრნენ : სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები, მშობლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი და მთავრობის სხვა პასუხისმგებელი პირები. ქადაგებაში მამა გიორგიმ ისაუბრა სარწმუნოების როლზე ადამიანის ცხოვრებაში, ქრისტიანისათვის აღსარებისა და ზიარების მნიშვნელობაზე, მარხვაზე, მისი წესების დაცვასა და სარგებლობაზე, სწავლის სიკეთეზე.

შეხვედრის დასასრულს მამა გიორგიმ აკურთხა საკლასო ოთახები და ზეთი სცხო დამსწრეებს.

ნანოტექნოლოგიების სიკეთე და საშიშროება

17 სექტემბერს წმ. სამების საკათედრო ტაძარში საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ფიზიკა-მათემატიკის დოქტორმა, პროფესორმა ალექსი გერასიმოვმა წაიკითხა ლექცია „ნანოტექნოლოგიების სიკეთე და საშიშროება“. ღონისძიება ჩატარდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელშეწყობით. იგი გახსნა თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ბიძინა გუნიამ

მეცნიერმა საინტერესოდ ისაუბრა თანამედროვე ტექნიკის მიღწევებზე, რაც კიდევ უფრო დიდ იმპულსს აძლევს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ყველა დარგის განვითარებას. განიხილა ნანოტექნოლოგიები, როგორც კაცობრიობის მკვეთრად წინ გადადგმული ნაბიჯი, რაც ადამიანის ცხოვრებას უფრო კომფორტულს ხდის. თუმცა, დასძინა ბატონმა ალექსიმ, „ამ განვითარებას, სამწუხაროდ, აქვს თავისი უარყოფითი მხარე - მისი გამოყენება ადამიანის საზიანოდ!“ მან, ასევე, აღნიშნა, რომ „ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ამერიკამ და რუსეთმა უკვე შექმნეს საშინელი სიმძლავრის ვაკუუმური ბომბები, რომლებიც თავიანთი ნგრევისუნარიანობით ატომურ ბომბებს აღემატებიან. ვაკუუმური ბომბი უფრო ნაკლებად საშიშია კაცობრიობისათვის, ვიდრე ატომური, რადგან მისი გამოყენება არ იწვევს გარემოს რადიაციულ დაბინძურებას და მისი დამანგრეველი მოქმედების შემდეგ პირდაპირ შეიძლება ტერიტორიის ათვისება“.

ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ახალგაზრდებზე.

ქრისტეს აღდგომის ჯვრის - ჯვრისაღმართების 27 (14) სექტემბერი

ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმიდე - ცხოველსმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (306-337) დროს.

რომის წარმართი იმპერატორები ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმიდა ადგილების ხსოვნა, სადაც ევნო მაცხოვარი და დიდებით აღდგა. იმპერატორმა ადრიანემ (117-138) მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი, შემდეგ კი ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე წარმართული ქალღმერთის, ვენერას ტაძარი და იუპიტერის კერპი აღამართვინა. კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისთვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით: „ამით სძლო!“. უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა წინააღმდგომებს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი იმ ძელის მოძიებისა, „რომელთა ზედა მაცხოვარმა ‍ველნი განიპყრნა“. მან მოოხრებულ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი - კეთილმსახური დედოფალი ელენე, რომელსაც პატრიარქ მაკარისთან წერილიც გაატანა თხოვნით, ხელი შეეწყო წმიდა საქმისთვის. ნეტარი ელენე უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო, მაგრამ, ღვთის სიყვარულით აღძრული, ფრიად დაშვრა დიდი სიწმიდის ძიებაში. იგი დიდხანს ამაოდ ცდილობდა, იერუსალიმის მკვიდრთაგან შეეტყო ჯვრის ადგილსამყოფელი. ბოლოს უფალმა მხცოვანი იუდეველის, იუდას მეშვეობით გააცხადა დაფარული. იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი - სამი ჯვარი, დაფა პილატეს დავალებით გაკეთებული სამენოვანი წარწერით და ოთხი ლურსმანი, რომლითაც ძელზე მიამსჭვალეს ქრისტე. რომ გაეგოთ, რომელი იყო ცხოველსმყოფელი ძელი უფლისა სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მკვდარი გაცოცხლდა. ურიცხვი ქრისტიანი შეიკრიბა სიწმიდის თაყვანსაცემად. ისინი პატრიარქ მაკარის სთხოვდნენ, აღემართა ჯვარი, რომ ყველას შეძლებოდა მისი დანახვა. მაშინ მღვდელმთავარმა სხვა სასულიერო პირებთან ერთად სიწმიდის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ხადილით: „უფალო, შეგვიწყალენ“, კრძალვით თაყვანს სცემდა მას. წმიდა ჯვრის აღმოჩენას კიდევ ერთი სასწაული ახლდა თან: მისი გადასახვით მძიმე ავადმყოფი ქალი განიკურნა. მოხუცმა იუდამ და სხვა ებრაელებმა ირწმუნეს ქრისტე და მოინათლნენ. ნათლისღებისას იუდას კვირიაკე დაარქვეს. შემდგომში იგი იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა, იულიანე განდგომილის (361-363) ზეობისას კი მოწამეობრივად დაასრულა სიცოცხლე (ხს. 28 ოქტომბერს). წმიდა ელენე დედოფალმა მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები ტაძრებით შეამკო: ოთხმოცზე მეტი ეკლესია აშენდა. კონსტანტინე დიდის ბრძანებით დაიწყო ქრისტეს აღდგომის ტაძრის მშენებლობა, რომელსაც გოლგოთა და უფლის საფლავი უნდა მოეცვა. ტაძარი დაახლოებით ათ წელს შენდებოდა და იკურთხა 335 წლის 13 სექტემბერს. მომდევნო დღეს, 14 სექტემბერს დაწესდა პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაული.

ამ დღეს იხსენიება მესიის ჯვართან დაკავშირებული კიდევ ერთი მოვლენა - 14-წლიანი ტყვეობის შემდეგ მისი დაბრუნება სპარსეთიდან იერუსალიმში. იმპერატორ ფოკას (602-610) ზეობისას სპარსეთის მეფემ, ხოსრო II-მ დაამარცხა ბიზანტიელთა მხედრობა, დაარბია იერუსალიმი, გაიტანა უფლის ცხოველსმყოფელი ჯვარი და წმიდა პატრიარქი ზაქარიაც (609-633) ტყვედ ჩაიგდო. სიწმიდე 14 წელი იმოყფებოდა სპარსეთში და მხოლოდ მას შემდეგ გადმოეცათ ქრისტიანებს, რაც იმპერატორმა ჰერეკლემ (610-641), ღვთის შეწევნით, დაამარცხა ხოსრო და საზავო ხელშეკრულება დადო მის ძესთან - სიროესთან. ცხოველსმყოფელი ძელი დიდი ზეიმით შემოაბრძანეს იერუსალიმში. იმპერატორი ჰერაკლე სამეფო გვირგვინითა და პორფირით შემკული მიასვენებდა სიწმიდეს აღდგომის ტაძრისკენ. მას გვერდით პატრიარქი ზაქარია მიჰყვებოდა. ბჭეებთან, რომელიც უნდა გაევლოთ გოლგოთაზე ამსვლელებს, მეფე უეცრად შედგა და გზის განგრძობას ვერ ახერხებდა. წმიდა ზაქარიამ აუხსნა: ეს - უფლის ანგელოზი გეღობება წინ, რადგან მას, ვინც კაცობრიობის გამოსასყიდად აზიდა ჯვარი გოლგოთაზე, ეს გზა სიმდაბლით გაიარაო. მაშინ ჰერაკლემ მოისხნა გვირგვინი, სამეფო მანტიაც განიმოსა და უბრალო ტანსაცმლით დაუბრკოლებლად შეაბრძანა სიწმიდე ტაძარში.

სიტყვაში ჯვართამაღლების დღესასწაულზე ანდრია კრიტელი წერს: „ჯუარი ამაღლდების და სავსებაჲ ეკლესიისაჲ შემოკრბების. ჯუარი ამაღლდების და ქალაქნი დღესასწაულობენ და ერნი მხიარულებად მოისწრაფიან, რამეთუ მოწესენებაჲცა ჯუარისაჲ მიზეზ იქმნებიდა სიხარულისა და მორიდება - მჭმუნვარებისა“.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტ. III, თბილისი, 2001 წ.

საეკლესიო კალენდარი

ოქტომბერი

1 ოქტომბერი (ხუთშ.) – წმ. მთავარმოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მოწამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661 წ.);

3 ოქტომბერი (შაბ.) – **ერთაწმინდობა.** წმ. დიდმოწამე ევსტათი პლაკიდას ხსენება (დაახ. 118 წ.);

5 ოქტომბერი (ორშ.) – წინასწარმეტყველ იონას ხსენება (VIII ს. ქრისტეს წინ);

6 ოქტომბერი (სამშ.) – მუცლადღება პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;

7 ოქტომბერი (ოთხშ.) – პირველმოწ. თეკლა მოც. სწორისა ხსენება (I ს);

9 ოქტომბერი (პარ.) – მიცვალება წმიდისა მოციქულისა მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა (II ს. დასაწ.); – დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;

12 ოქტომბერი (ორშ.) – ღირ. ონოფრე გარეჯელის, საკვირველთმოქმედის ხსენება (XVIII ს.);

14 ოქტომბერი (ოთხშ.) – დღესასწაული საუფლო კვართისა და ღმრთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტისა;

– საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა;

– მოც. სწორთა – მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანას ხსენება;

15 ოქტომბერი (ხუთშ.) – არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინე მხეიძეთა ხსენება (740);

16 ოქტომბერი (პარ.) – მღვდელმოწ. დიონისე არეოპაგელის ხსენება;

17 ოქტომბერი (შაბ.) – მოწ. ევდემოზ კათოლიკოსის ხსენება (1642 წ.);

18 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან მე-20 კვირა – ღირ. მამის გრიგოლ ხანძთელის ხსენება (861 წ.);
19 ოქტომბერი (ორშ.) – წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა თომასი (I ს.);
22 ოქტომბერი (ხუთშ.) – მოც. **იაკობ** ალფესის ხსენება (I ს.);
23 ოქტომბერი (პარ.) – VII მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება (787 წ.);
25 ოქტომბერი – სულთმოფენობიდან 21-ე კვირა
26 ოქტომბერი (ორშ.) – დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
29 ოქტომბერი (ხუთშ.) – ღირ. ზენონ იყალთოელის ხსენება (VI ს.);
30 ოქტომბერი (პარ.) – წმიდისა მამისა ჩვენისა იოსებ კათალიკოსისა, საკვირველთმოქმედისა (1770 წ.);
– ღირ. მოწამე ანდრია კრეტელისა (767 წ.);
– მოწ. კოზმა და დამიანესი, უვეცხლოთა (287-303 წ.წ.);
– აღმოყვანება ნაწილთა მართლისა ლაზარესი, ოთხთა დღეთა საფლავად მდებარისა (898წ.);
31 ოქტომბერი (შაბ.) – წმიდისა დიდებულისა, ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა **ლუკასი** (I ს.).

ნოემბერი

1 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 22-ე კვირა – წინასწარმეტყველ იოელის (800 წ. ქრ. წინ) ხსენება;
2 ნოემბერი (ორშ.) – ღირ. გაბრიელ სალოსის და აღმსარებლის (ურგებაძე) ხსენება;
3 ნოემბერი (სამშ.) – ღირ. ილარიონ დიდის ხსენება (371-372 წ.);
4 ნოემბერი (ოთხშ.) – შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250 წ.);
– დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
5 ნოემბერი (ხუთშ.) – მოც. იაკობის, უფლის ხორციელად ძმის ხსენება (დაახ. 63 წ.);
6 ნოემბერი (პარ.) – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხსენება (1688 წ.);
7 ნოემბერი, დიმიტრის შაბათი: – მოწ. მარკიანეს და მარტვირის ხსენება (დაახ. 355 წ.);
– მიცვალებულთა ხსენება.
8 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 23-ე კვირა – წმ. ალექსანდრეს, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსის (1907 წ.) ხსენება
– დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის ხსენება (დაახ. 306 წ.);
10 ნოემბერი (სამშ.) – მღვდელმოწამე ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსის ხსენება (VII ს.);
11 ნოემბერი (ოთხშ.) – ღირ. მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელის ხსენება (900 წ.);
12 ოქტომბერი (ხუთშ.) – მოწ. იოთამ ზედგენიძის, მეფისათვის თავდადებულის ხსენება (1465 წ.);
13 ნოემბერი (პარ.) – წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა ხსნება (1227 წ.);
14 ნოემბერი (შაბ.) – უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა კოზმა და დამიანე ასიელთა ხსენება (III ს.);
16 ნოემბერი (ორშ.) – ხსენება ღირ. ნიკოლოზ ქართველთა მნათობისა, აკოლუთიათა აღმწერელისა (1308 წ.);
20 ნოემბერი (პარ.) – 33 მელიტინელ მოწამეთა ხსენება (III ს.);
21 ნოემბერი (შაბ.) – კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა;
23 ნოემბერი (ორშ.) – ხსენება წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა (303 წ.);
26 ნოემბერი (ხუთშ.) – ხსენება წმ. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსისა (407წ.);
– შობის მარხვის აღება!
27 ნოემბერი (პარ.) – წმ. მოციქულ ფილიპეს ხსენება (I);
28 ნოემბერი (შაბ.) – მოწ. გურისა და სამონის (299-306 წ.) და აბიბოს აღმსარებლის (322 წ.) ხსენება;
– შობის მარხვის დასაწყისი!
29 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 26-ე კვირა – წმ. დიდებულის, ყოვლადქებული მოციქულის და მახარებლის **მათეს** ხსენება (60 წ);
30 ნოემბერი (ორშ.) – დიდმოწამე მიქაელის, რომელსა ეწოდა გობრონ და მისთა 133-თა მხედართა ხსენება (914 წ.);

დეკემბერი

2 დეკემბერი (ოთხშ.) – ღირ. მამის ილარიონ ქართველის ხსენება (875 წ.);
4 დეკემბერი (პარ.) – ყოვლადწმიდა **ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება**;
6 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 27-ე კვირა – მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტის (ფერაძე) ხსენება;
7 დეკემბერი (ორშ.) – დიდმოწამეთა მერკურისა (III ს.) და ეკატერინეს ხსენება (305-313 წ.);
8 დეკემბერი (სამშ.) – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულის წარგზავნა;
12 დეკემბერი (შაბ.) – მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ხსენება (VI ს.);
13 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 28-ე კვირა:
– მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენება;
– წმ. მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენება (502 წ.);
14 დეკემბერი (ორშ.) – წინასწარმეტყველ ნაუმის ხსენება (VII ს. ქრის. წინ);
15 დეკემბერი (სამშ.) – ღირ. ისე წილკნელის ხსენება (VI ს.);
17 დეკემბერი (ხუთშ.) – დიდმოწამე ბარბარეს ხსენება;
18 დეკემბერი (პარ.) – ღირ. საბა განწმენდილის ხსენება (532 წ.);
19 დეკემბერი (შაბ.) – წმ. ნიკოლოზის, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 345 წ.);
22 დეკემბერი (სამშ.) – მუცლადღება მართლისა ანას მიერ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა;
23 დეკემბერი (ოთხშ.) – მოწ. მეფე ვახტანგ III-ის ხსენება (ძისა მეფისა დემეტრე თავდადებულისა);
24 დეკემბერი (ხუთშ.) – ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა ხსენება;
25 დეკემბერი (პარ.) – წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელი ეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 348 წ.);
– **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II** აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე;
26 დეკემბერი (შაბ.) – მოწ. ევსტრატის, ავქსენტის, ევგენის, მარდარის და ორესტის ხსენება (284-305 წწ.);
27 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 30-ე, წმიდა მამამთავართა (მართალ მამათა) კვირა
– წინასწარმეტყველ ანგეას ხსენება (500 წ. ქრ. წინ);
30 დეკემბერი (ოთხშ.) – წინასწარმეტყველ დანიელის და 3-თა ყრმათა: ანაის, აზარიას და მისაილის ხსენება (600 წ. ქრ. წინ);

ჩვენი ეპარქია

კითხვა-მიგება ლიტურგიკულ საკითხებზე



- რა განსხვავებაა„საიდუმლოებასა“ და „წესს“ შორის?

- მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში ერთმანეთისაგან ანსხვავებენ „საიდუმლოებასა“ და „წესს“.

საიდუმლოებებში, წესებისაგან განსხვავებით, ადამიანი განსაკუთრებულ, არსებით თვისებებს იძენს, ახალ სულიერ მდგომარეობას აღწევს და ქრისტიანული ყოფის ახალ საფეხურზე ადის. ასე მაგალითად: ნაკურთხი წყლის მიღებით, ღმერთი ეკლესიური ცხოვრების ძალას მატებს მორწმუნეებს, და შესაძლებელია, საღმრთო განგებულებით, ჯანმრთელობაც მიჰმადლოს მათ, მაგრამ, საიდუმლოებებში სხვა უფრო აღმატებული, თვალსაჩინო ცვლილებები ხდება. საიდუმლოთა აღსრულების მიზანს ხომ პიროვნების განღმრთობა წარმოადგენს, რაც გარდაქმნის ადამიანს, აახლებს მის ბუნებასა და პიროვნებას.

რაც შეეხება **წესებს**, გარკვეული თვალსაზრისით, მათში ყველა ის მსახურება იგულისხმება, რომლებიც 7 საეკლესიო საიდუმლოს არ განეკუთვნებიან.

საღვთისმსახურო წესები პირობითად სამ სახედ იყოფიან:

– ერთნი ეკლესიის **ლიტურგიკული ცხოვრების (მსახურების)** განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგებიან (ხუთი პურის ან არტოსის კურთხევა, ცისკარზე სახარების წაკითხვის შემდეგ მორწმუნეთათვის ზეთის ცხება და სხვა);

– მეორენი ადამიანთა **საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვისაა** გამიზნული (სახლის, ვენახის, ახალი ღვინის, მანქანის ან ნებისმიერი ნივთის კურთხევა);

– და ბოლოს ის **სიმბოლური წესები (ქმედებები)**, რომლებიც ქრისტიანულ იდეებს, აზრებს და გრძნობებს გამოხატავენ (ჯვრის გამოსახვა, მეტანიები, აღმოსავლეთით ლოცვა, ზიარებისას მკერდზე ჯვრის სახედ ხელების დაწყობა და მრავალი სხვა).

მეტი სიცხადისათვის სხვადასხვა მსახურებათათვის განკუთვნილ **ზეთის კურთხევის** ლოცვებს წარმოვადგენთ:

1. ნათლობის საიდუმლოში: *“...შენვე აკურთხე ზეთიცა ესე, ძალითა და შეწევნითა და დანერგვითა წმიდისა სულისა შენისაჲთა, რათა იქმნას ესე საცხებელ უხრწნელებისა, საჭურველ სიმართლისა, განმაახლებელ სულისა და ხორცთა, ყოვლისა საეშმაკოჲსა საქმისა საძლეველ, და გარემიმაქცეველ ყოვლისაგან ბოროტისა, რომელნი იცხებენ სარწმუნოებით, გინათუ მიიღებენ ამისგან, სადიდებელად შენდა...“* ;

2. ზეთის კურთხევის საიდუმლოში: *„უფალო, რომელი წყალობითა და მოწყალებითა შენითა განკურნებ შემუსვრილებასა სულთა და ხორთა ჩუენთასა, შენ, მეუფეო, განწმიდე ზეთი ესე, რათა ექმნეს, რომელთა იცხონ ამისგან, საკურნებელად ყოველთაგან სალმობათა და ვნებათაგან ხორციელთა, შეგინებისაგან ხორცთა და სულისა და ყოვლისაგან ბოროტისა, რათა ამითცა იდიდოს ყოვლადწმიდა სახელი შენი, ...“;*

3. სახლის კურთხევისას: *„უფალო ღმერთო ჩუენო, მოხედე აწ წყალობითა შენითა ლოცვასა ჩემ მდაბლისა და უღირსისა მონისა შენისასა, და გარდამოავლინე მადლი ყოვლადწმიდისა სულისა შენისაჲ ზეთსა ამას ზედა, და აკურთხე იგი, რაჲთა იყოს განმწმენდელ ადგილსა ამას და მას ზედა აღშენებულსა სახლსა, წარსადევნელად ყოველთა წინააღმდგომთა ძალთა და საცთურებათა ეშმაკისათა, ...“* ;

4. (ღამისთევის ლოცვაზე) ხუთი პურის კურთხევისას: *„უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელმან აკურთხენ ხუთნი პურნი, და ხუთ ათასნი განაძღენ, ეგრეთვე აკურთხენ პურნიცა ესე, ხუარბალი, ღვინოჲ და ზეთი, და განამრავლენ ესენი წმიდასა ამას ტაძარსა, და ქალაქსა ამას შინა, და ყოველსა ქუეყანასა და ერსა შენსა ზედა, და რომელთა მიიღონ ამათგან სარწმუნოებით, მიეც მათ განწმენდა, რამეთუ შენ ხარ, რომელი აკურთხევ და განსწმენდ ყოველთავე, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, ...“.*

ამდენად, ზემომოხმობილი ლოცვებიდან ნათლად ჩანს სხვადასხვა საჭიროებისათვის ნაკურთხი ზეთის დანიშნულება, რითაც საცნაურდება კიდეც ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების, საღმრთო აღმშენებლობის თუ რომელ მდგენელთან გვაქვს საქმე, რომელიც ამა თუ იმ ღვთისმსახურების აღსრულებისას წარმოუჩნდება ჩვენს სულიერ მზერას.

ყოველივე ზემოთქმული გახლავთ მიზეზი ლიტურგიკულ წიგნებში დაფიქსირებული შემდეგი მითითებისა: ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას არ ეგება ღამისთევის ლოცვაზე ნაკურთხი, ან ზეთის კურთხევის საიდუმლოში გამოყენებული ზეთის მოხმარება (1. თ. IV 228-229; 3. 22) და არც ღმრთის განცხადების დღესასწაულზე ნაკურთხი წყლის (დიდი აიაზმის, ან თუნდაც მცირე აიაზმის) გამოყენება.

თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის
სახელობის ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად

ნანოტექნოლოგიების სიკეთე და საშიშროება

ჯვაროს აღმართვა ოქროს ეკლესიის დეთოხმშობლის ხატის სახელობის ტაძრის გუმბათზე

ISSN 2298-0865
9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 570 10-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი